საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-18/135
16/01/2023

135-18-2-202301161631

კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს

სესხის გამცემი სუბიექტების ხელმძღვანელებს

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ ფინანსურ ორგანიზაციას (წინამდებარე წერილობითი მითითების მიზნებისთვის - კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხის გამცემი სუბიექტი) ევალება:

1.1. ფიზიკურ პირს არ დააკისროს მის მიერ უცხოური ვალუტით გაცემულ სესხზე/კრედიტზე რეფინანსირების შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, ან სხვა ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს, თუ რეფინანსირების მიზანს წარმოადგენს სესხის/კრედიტის ლარში კონვერსია. აღნიშნული მითითება ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც რეფინანსირება ხდება სხვა ფინანსურ ორგანიზაციებში აღებული სესხით/კრედიტით.

1.2. მიიღოს ან/და უსასყიდლოდ გასცეს სესხის/კრედიტის ლარში კონვერსიის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები/ცნობები, რომლებიც უნდა მოიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, რომ სესხის/კრედიტის მიზნობრიობას წარმოადგენს მომხმარებლის სახელზე უცხოურ ვალუტაში არსებული სესხის/კრედიტის დაფარვა.

1.3. საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან შემდგომი წერილობითი მითითების გაცემამდე, უშუალოდ და მხოლოდ წინამდებარე წერილობითი მითითების პირველი აბზაცით გათვალისწინებულ საკითხზე, არ იხელმძღვანელოს „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის 1–3 პუნქტების მოთხოვნების მიხედვით.

2. წინამდებარე წერილობითი მითითების მოთხოვნის დარღვევის გამოვლენის/აღმოჩენის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული მანდატის ფარგლებში.

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge

3. აღნიშნული წერილობითი მითითებით, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 17 იანვრის №2-07/246-17 წერილობითი მითითება.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი